№ 24. 19 ივნისი (1 ივლისი) 1870 19 ივნისი (1 ივლისი) № 24.

გაზეთის ფასი

...ლიურათ: გაგზავნით: — 7 მან. — 4 — — 2 — 50 კ. — 1 — . გაუგზავნელათ: — 6 მან. — 3 — 50 კ. — 2 — — 75 კ. — 15 კ.

...კანტორაში მიიღება უცხო...ვარი განცხადება ... გაზეთის სტრიქონზე 8 კაპ., ... $3^1/_2$ კაპ.

„დროება" გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

# დროება

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„დროების" რედაქციის კანტორაში, ... ხანის ქუჩაზე, ზუბალოვის სახლში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ". ქუთაისში—ლ. ლოლუასთან—პოლიციის ქუჩაზე მელიქოვ ... სახლში.

ავტორს არ ... თვის განცხადებაში შეუძლია უჩვენოს ... რომელიც გამოგზავნილი იქმ „დროებაში" დასაბეჭდათ, მაგრამ, რომელსამე მიზეზის გამო, არ დაიბეჭდება. ... გამოგზავნილი სტატიისა და ისე დაბეჭდს გაზეთში.—

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

წელიწადი მეხუთე.

### განცხადება.

...„დროების" კანტორაში ხელის-მოწერა მი...ბა „დროებაზე", ნახევარი წლის ვადით, ...ის პირველიდამ ამ წლის ბოლომდი.— ...ი ნახევარი წლის, გაგზავნით ოთხი ...თია, გაუგზავნელათ—სამ მანეთ ნახევარი. ...ვისაც სურს, შეუძლია პირველი ნომრი...ვე დაიბაროს წლევანდელი „დროება".

### შინაარსი:

თფილისი, 18 ივნისს.— საქართველო.— ...ქეთი.— პოლიტიკა: ინგლისი,— იტალია,— ...არია,— ოსმალეთი. ქალებზედ.— ნარევი. კერძო განცხადებები. ფელეტონი:— ქართველების სტუმრობა.

### თფილისი 18 ივნისს

...ნარ იცის, რამდენი „ბედი და უბედობა" ...უვლია ჩვენს ქვეყანას თავის ისტორიულს ...ვრებაში. იმას, როგორც პოეტი ამბობს: ...გზის უნახავს მრისხანედ, მომღიმარეთაც ბედია!

მაგრამ, ახლანდელი ჩვენი საზოგადო ...მდგომარეობაც დიდი ყურადღების ღირ... ჩვენ საზოგადოებას აწევს ახლა თავ...ისეთი და იმდენი საქმეები და ვალ...ებულებები, რომ იმათს აღსრულებაში ...ყვანისათვის იმან ძლიერ გულდამჯდარად ...ა მოიფიქროს. ზოგიერთი ამ საქმეებთა...ი ისეთნი არიან, რომ, ბეჯითათ შეიძლე... კაცმა თქვას, ჩვენი ქვეყნის წარმატებაო იმათს გათავებაზეა დამოკიდებული.

ამ საქმეებში პირველი ადგილი, უეჭველია, ბატონ-ყმობის საქმეს უჭირავს; და დღეს ჩვენ ამ საგანზე უნდა მოველაპარაკოთ მკითხველს.

1864 წელს 13 ოქტომბერს გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალით თფილისის გუბერნიაში ბატონ-ყმობა სამუდამოთ მოისპო. სწორეთ ერთი წლის შემდეგ (13 ოქტ. 1865 წ.) ამნაირივე ბრძანება გამოვიდა ქუთაისის გუბერნიის შესახებაც. თუმცა, როგორც ვხედავთ, ზემომოყვანილი ბრძანებების ძალით, ბატონ-ყმობა მოსპობილია ჩვენში, მაგრამ ნივთიერების და ქონების მხრით ნაბატონებსა და ნაყმევს შუა ჯერ ძლიერ დიდი კავშირია და იქნება კიდეც, განთავისუფლების შემდეგ, ხრა წლის განმაელობაში. როცა გლეხების ნივთიერებაზე და ქონებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვიგულისხმებთ იმათ მიწა-წყლის, ხე-ტყის და საზოგადოთ „ნადელის" საქმეს.

ჩვენი აზრით, ამჟამად არაფერზე არ უნდა გვქონდეს ჩვენ ისე მიქცეული ყურადღება, როგორც ამ გლეხების ნადელის საქმეზე. ჩვენი ქვეყნის მომავალი კეთილდღეობა იმაზეა დამოკიდებული—იქნება ჩვენი ხალხის მომეტებულ ნაწილს მიწა-წყალი, სახლ-კარი, ერთი სიტყვით, თავის საკუთრება, თუ არა. თუ ამ მომეტებულ ნაწილს სამყოფი ადგილ-მამული ექნა, მაშინ ჩვენში დამკვიდრდება კეთილდღეობა და თუ არა — ხეირი არ დაგვეყრება. ამ აზრის დასამტკიცებლად, თუ კი საჭიროა დამტკიცება, ერთ შესანიშნავ მაგალითს მოვიყვანთ.

ვისაც არ უნდა ჰკითხავთ, რა წიგნშიაც რომ წაიკითხოთ, ყველგან და ყველანი ამბობენ, რომ ინგლისი ძლიერ მდიდარი ქვეყანა არისო. მართლაც, იმის უთვალავი ფაბრიკები და ქარხნები, იმის სასახლეები და მდიდარი მაღაზიები, შემუშავებული მინდვრები და ბაღები,—ერთი შეხედვით, მოაფიქრებინებენ კაცს, რომ ინგლისელები სამოთხეში და სრულის კმაყოფილებით სცხოვრებენო. მაგრამ, შეიხედეთ იმ ქარხანაში, რომელშიაც წელიწადში რამდონიმე მილიონის მაუდი, ჩითი, ქაღალდი ან სხვა რამ კეთდება, და ნახეთ—რა საცოდავ მდგომარეობაში არიან იქაური მუშა-კაცები და მუშა-ქალები: დაფლეწილი ტანისამოსით, თითქმის ძონძებ შემოსილები, გაყვითლებული პირის-სახით და ჩხირივით გამხმრები—დგანან ისინი რომელიმე ჩარხის წინ და დილით დაღამებამდინ შეუსვენებლივ მუშაობენ. ამდონი შრომა-ჯაფისთვის ქარხნის პატრონი, რომელიც, ამ მუშების წყალობით, მდიდრდება და მილიონებს იგებს, საღამოს აძლევს იმათ მხოლოთ იმდენს, რამდენიც გამხმარი პურის ნაჭერის სასყიდლათ ეყოფათ. ამნაირს მდგომარეობაშია მდაბიო ხალხის მომეტებული ნაწილი სიმდიდრით ნაქებს ინგლისში!

რისგან წარმოსდგა ამისთანა საშინელი სიღარიბე ინგლისის მდაბიო ხალხისა? იმისაგან, მკითხველო, რომ მთელი ინგლისის მიწები მხოლოთ რამდენსამე ასს კაცს (ლორდებს) ეკუთვნის და, როგორც უნდათ, ისე ხმარობენ იმათა,—იმისაგან, რომ მდაბიო ხალხში ათასში ერთს ვერ ნახავ, რომ მიწა-წყალი, ადგილ-მამული, ან სხვა რამ საკუთრება ებადოს! ინგლისელების ცხოვრება და კანონები ისე იყო შედგენილი, რომ ძლიერ მცირე ნაწილს ჩაუვარდა ხელში მიწები და მომეტებული კი ლატაკათ დარჩა.

მაგრამ, ნურც იმას იფიქრებთ, რომ ინგლისის ლორდები კი სრულს ბედნიერებაში და მოსვენებით ცხოვრებდენ: სადაც ასს მშიერში ერთი მაძღარია, იქ მოსვენება და მშვიდობიანობა ძნელად მოსალოდნელია! ვისაც ინგლისის ცხოვრებისთვის თვალ-ყური უდევნებია, იმას კარგათ ეცოდინება—რა ხშირად ხდება ხოლმე იქაურ ქალაქებში არეულობა და მრავალგვარი ცუდ-კაცობა; ყველა დაგვეთანხმება იმაზე, რომ ეს მომეტებულ ნაწილათ ლუკმა-პურის საქმეა.

ინგლისში ასე ცუდი შედეგები ქონდა ურიგოთ მიწის განაწილებას. ჩვენი საზოგადოება ვალდებულია უფრო თადარიგიანათ წაიყვანოს ეს საქმე; ამის მოხერხება ადვილათ შესაძლებელია, თუ ჩვენი თავად-აზნაურობა უფრო მომეტებულის წინდახედულობით და ნაკლები ანგარ-მოყვარეობით შეხედავს საქმეს. თუ ჩვენი მამულის-პატრონები დარწმუნებული არიან იმ ჭეშმარიტებაში, რომ გლეხკაცებისა და იმათი კეთილ-მდგომარეობა და სიკეთე კუდი-კუდზე არიან გარაბმულნი,—მაშინ, უეჭველია, ისინი გაუადვილებენ გლეხებს ნადელის შესყიდვას და საზოგადოთ მ ი წ ა-წ ყ ლ ი ს ს ა ქ მ ე შ ი ა რ შ ე ა ვ ი წ რ ო ე ბ ე ნ იმათა. სწორეთ ძლიერ სამწუხაროა მემამულეებსა და გლეხებს შუა იმისთანა ამბავი, რომლის მსგავსიც ორი იყო „დროების" მეორე ნომერში დაბეჭდილი; ჯიბრი და უთანხმოება არასოდეს არ არის საქები და ამისთანა საქმეში კი განსაკუთრებით მავნებელია.—

---

## ფელეტონი

### ქართველების სტუმრობა.

> ჩვენი ზოგიტა ქართველი
> ახირებული კაცია!
> შიმშილით კუჭი უდნება,
> სტუმარს დაუკლა ვაცია.
> —სული.

...ერთს ჩემს გულ-უხვ მეგობარს დიდიხანია ...იცნობ. როგორც თვითონ მოაქვს თავი, მე...ნიერი კაცია და მეტის-მეტი შორს გამსჭვრე...ლობით, რაც ცხვირის წინ მოხდება, იმას ...ლარ ჰნიშნავს; ამის გამო ახლოს სახედვე...ი სათვალეებით აუხვევია თვალები; მაგრამ ...ის კოპწია მეუღლე რომ ეშხიანს თვალებს ...მაკობით უყვრიალებს ქმრის დიდებულ ...სტუმრებს, ამას მაინც ვერ იტყობს შორს გამსჭვრეტი მეუღლე. გარდა იმისა, რომ დღი...თ დიდებული მასპინძლობა ხშირად მოსვენებას არ აძლევს მასპინძელს, ზემოხსენებული ამბავი ღამითაც ძალიან აწუხებს. რო...ა საყვარელნი ცოლქმარნი სიტკბოების ...ლში ჩასხდებიან, ცოლი ციბრუტივით ...რიალებს და მოჰყვება: „არიქა, რწყილმა ...ჭამა, აქ წოლა აღარ შემიძლიან, სულო...ჯან!.... შენ დარჩი, მე მეორე ოთახში ...ვალ, იქ დავიძინებო". გულდაკოდილი ...მარი ჯავრისაგან სულ მუშტებს სცემს საწოლზე, მაგრამ რწყილს მაინც ვერსად ჰპოულობს...

×

ამისთანა წვა-და-დაგვაში გადის ჩემი მეგობრისა და იმის ლამაზი მეუღლის ურთიერთობა ამ წყეული რწყილების წყალობით, რომელნიც გუნ-გუნდათ შემოსევიან კოპწია მეუღლეს დიდებულის სტუმრების თვალებით შეტყორცილ ისრებისაგან....

×

კიდეც ამიტომ ეძახიან ქართველს სტუმრის მოყვარესა; მაგრამ ნუ გგონიათ, რომ იმის პურადობა ტოლამხანაგში, ან კიდევ იმაზე დაბალი ხარისხის სტუმრებზე იხარჯებოდეს. ძველ ქართველს პურმარილობის გამოჩენა მხოლოდ ბუმბერაზებზე და იმისთანა დიდკაცებზე უყვარს, რომელთაც მთელი იმის ყოფა ცხოვრება სამ ლუკმათ არ ეყოფა. ვითამ და რაო?—ქვეყანამ მიცნოს, რა კაცი ვარო: მის აღმატებულებას, ან მის უგანათლებულესობას, ან კიდევ უფრო მაღალ ხარისხოვანს გვერდით ვუდგევარ, მეგობრათ ვუხდები, შინაურულათ ვიცნობო! ამ სახით დიდებულათ გამართული ლხინი და გაჩირაღდნებული სახლი თავისი ბრწყინვალებით გამვლელ-გამომვლელს აკვირებს. ძველანი იძახიან, „დიდი ვინმეა მასპინძელი, დიდი!... შეხედეთ რა ჩინებულათ განათლებულია და რა აურაცხელი სიმდიდრის კვალი აჩნია იმის ცხოვრებასო!...

×

მაგრამ ახლა უკანიდგანაც მოვუაროთ ამ ჩინებულათ გაბრწყინვებულს სახლს, რომ დავრწმუნდეთ, რაც გარედგან სჩანს, ბუნებითია, თუ მხოლოდ მოცხებული. ჯერ არ შეგიხედნიათ უკანა-კარებში, მაგრამ მარტო იმასთან მიახლოვებითაც ჰგრძნობთ საშინელს სუნს: თითქოს მძოვრისა, ნეხვის და ტალახის სუნი ერთმანეთში არეულა და ასეთს სუნნელებას გაფქვევენ, რომ გულში იძახი, ნეტა უკანვე გამომაბრუნაო. ამგვარივე საძაგელი სუნი მოჰქრის საჯალაბოს უკანა კარებიდგან, სადაც ყოველნაირი უსუფთაობა ზვინებსავით დაყრილა. თქვენ გიკვირსთ, მისავალ კარებში რომ ისეთი სიწმინდე და სიმდიდრე სჩანს, აქ რათ არის ასე უსუფთაობა და სიღარიბის კვალიო?... მაგრამ აქ გასაკვირველი რა არის. ეს უსუფთაობა ამ სამი დღის წინათ ყველგან ყოფილა; და რადგან მასპინძელს ჰსურს, მხოლოდ გარეთა შეხედულობით გააკვიროს ყველანი, ამისთვის წინაკარის უსუფთაობა და სიმურტლე მხოლოდ უკანა კარისკენ გადმოუტანია, სადაც ყოველივე შეუფერებელი უწესოება შემალულია გამვლელის თვალისგან. მასპინძელი მხოლოდ იმას ცდილობს, რომ მის წინა-კარს მშვენიერი და გაუკიცხველი სახე ჰქონდეს, თორემ შიგნით თუ გინდ მთელი ქვეყნის სისაძაგლე ეგროვოს, მაინც არა უჭირს რა: იქ ხომ არავინ შეიხედავს!

×

ერთი ნაბიჯი კიდევ წავდგათ და სამზარეულოში ვიქნებით. აქ შინაური მოსამსახურეები—ქალი და კაცი-მოგროვილან და ერთმანეთს ხელში აცლიან ლუკმას.

ერთი იძახის—„დღეს, ძმებო აღდგომა გაგვითენდა, ამ ჩვენ ბატონის ქელეხზე მაინც გავძღეთ, თორემ სხვა დროს ხომ სახსნილოსაც ველარ ვიშოვნით.

—ბატონის ადგილ-მამულებისთვის მართ-ლაც, რომ ქელეხია დღევანდელი მასპინძლობა— უპასუხებს მეორე მოსამსახურე—იმ დალოცვილს უკანასკნელი ზვარი ჰქონდა დაუგირავებელი და ესეც მოქალაქეებს ჩაუგდო ხელში ორიოდე თუმნისთვის... დიდი კაცები მყავს დაპატიჟებულიო, და თუ ერთი სანაქებო პური არ ვაჭამე იმათ ჩემს ოჯახში, ღმერთმა ნუ ქნასო.

— ბატონის ადგილ-მამულს ვინ დაეძებს, ნეტა ჩემ ჯამაგირს დაეძრობდე ხელიდგან— ამბობს გულ-გახეთქილი მოჯამაგირე—ჩოხა მინდოდა მეყიდნა; მთელი წელიწადია შემოფრეწილი დავდივარ.... ჩვენებს ვერ გამოვჩენივარ სირცხვილით ამ ძონძებში. მე ოხერი ჩემი ბატონი, ერთი სადილისთვის მამულებს აგირავებს და ჩემთვის კი ორიოდე მანეთი ჯამაგირი ვერ მოუცია. სულ იმას ტირის, ფული არა მაქვსო.

# საქართველო

„დროების“ მე-21 №-ში დავბეჭდეთ, რომ ის ათას ექვსასი მანეთი, რომელიც მორჩენია იქაურ ქალების კურსების შემოსავალს და რომელიც მასწავლებლებს თავის შრომის ფასად უნდა წაელოთ, იმათ ამ საქმის წარმატებისთვის შეუწირავთ. ამ ამბავს უნდა დაუმატოთ ახლა, რომ, როგორც ამბობენ, მასწავლებლებს გადაუწყვეტიათ, რომ შეწირული ფულებით პეტერბურღის მედიკო-ხირურღიის აკადემიაში გავგზავნოთ რამდენიმე ქალი სწავლის გასაგრძელებლათაო. —ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ამ აკადემიაში წლევანდელი წლიდგან ქალებს მიეცათ, სტუდენტებთან ერთად, ბებიობის სწავლის ნება.

*

„კავკაზში“ იწერებიან, რომ ქუთაისში ამ თვის 2-ს დაწყებულა კენჭი. ამას ჩვენ უნდა დაუმატოთ, რომ მარშლების ამორჩევა კიდეც გათავებულა.

*

მაისის 24-ს ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა ქუთაისის სასწავლებელთ დირექციასთან სახალხო შკოლების ინსპექტორის თანამდებობა. ინსპექტორს ექნება წელიწადში ორასი თუმანი. იმისი თანამდებობა განისაზღვრება ნამესტნიკისაგან.

*

ამ წელს ღვინობისთვეში ოდესსაში მმართებლობისაგან დანიშნულია ღვინოების გამოფენა მთელი რუსეთის ღვინოების დამყენებელთათვის. ეს გამოფენა იმ განზრახვით გაიმართება, რომ რუსეთის სახელმწიფოში გამოცხადდეს, სად რა ღვინო მოდის, ღვინის მყიდველმაც და გამყიდველმაც ერთმანერთის ვითარება შეიტყონ და ამ გვარათ გავრცელდეს ღვინის ვაჭრობა. ამ გამოფენაში, უეჭველია, იქნება ყირიმისა, ბესსარაბიისა, დონისა და სტავროპოლის გუბერნიის ღვინოები, მეტადრე პირველ სამ ადგილიდგან ვენახის პატრონები და ღვინის დამყენებლები უეჭველათ გაგზავნიან თავის ნაწარმოებსა, რადგანაც ოდესსასთან შორს არ არიან და კარგი გზაც არის ხმელეთით და წყლით. ჩვენს ვენახის პატრონებს შეუძლიათ ამ შემთხვევაში თავიანთ თავს კარგი სარგებლობა მისცენ, თუ მოისურვებენ ცოტაოდენს ხარჯსა და მეცადინეობასა. ჩვენი კახური ღვინის სახელი გათქმულია რუსეთში; მაგრამ —სახელით, გემოთი კი არავის არ უნახავს. თუ აქედამ ღვინოები მიაქვთ პეტერბურღს და მოსკოვს, მარტო ყიზლარელ ან აშტარხნელ მეღვინეებს მიაქვთ, ისიც კავკავში ნაყიდია და მერე ადგილობრივ მიტანის შემდეგ მასალებით შეზავებული და სხვა ღვინოებში არეული. აქ დაჩვეული კახურ ღვინოს პეტერბურღში ვერა სვამს, ისეთი საძაგელი რამ არის. ბოთლი კი ორ მანეთათა ღირს! რასაკვირველია, რომ რუსეთში არ გაიყიდება ის კახური ღვინოები, რომელსაც იქნება კახეთი კი არა, ყიზლარიც არ ენახოს. ამასთან არც შენახვა იციან ღვინისა იქაურ მეღვინეებმა და ამ მიზეზისა გამოთ რუსეთში ძალიან ცოტა გააქვთ ჩვენებური ღვინოები. ამ შემთხვევაში ჩვენს ვენახის პატრონებს და ღვინის დამყენებლებს კარგი დრო აქვთ თავიანთი ნაწარმოები აჩვენონ გამოფენაზე. ამ ჟამათ გზები კეთდება და ამ ორ-სამ წელიწადში ჩვენსა და რუსეთს შუა დიდი მისვლა-მოსვლა და ვაჭრობა გაიმართება. ამისთვის ამ შემთხვევას თავი არ უნდა დაანებონ ღვინის დამყენებლებმა და ეხლავე გამოაჩინონ ჩვენი ღვინოები რომ შემდეგისათვის გამოადგეთ, მეტადრე ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობაში, როდესაც უფულობას უჩივით.

აქ მოვიყვანთ ზოგიერთ მუხლებს გამოფენის კანონებისას, რომელიც უფრო საჭიროა.

გამოფენაში მიიღება ყოველგვარი ყურძნის ღვინო, ყურძნის სპირტი, არაყი, ძმარი; მიიღება ყოველ გვარი ჭურჭელი ღვინის დაწურვისა და შენახვისათვის ხმარებული, და ვენახში სახმარებელი იარაღები ანუ ნამდვილი ზომისა ანუ პატარათ გაკეთებული; აგრეთვე ვაზი ნედლი ანუ ხმელი, ყურძნის მტევნები; პლანები ვენახისა და სურათები ვაზისა და ყურძნისა.

ესეები მიიღებიან იმათგან ვისაც თავისი საკუთარი ვენახი აქვს და ან ნაყიდი ყურძნით აყენებს ღვინოებსა.

სასმელები კარგა დაცობილ და დაფისულ ბოთლებით უნდა გაიგზავნოს და ყოველგვარ ღვინისა სამი ბოთლი უნდა.

სასმელებისა, იარაღებისა და ჭურჭლების გაგზავნასთან უნდა თან დააყოლონ წერილები, რა ადგილიდგან არის, რომელი ყურძნის ჯინშის ღვინოა, ვენახი რა ნაირ ადგილს მდებარეებს, მაღლობზე, თუ დაბლობზე, რამოდენა ადგილი უჭირავს და რამდენ ღვინოს იძლევა. ვაზის მოვლა და ყურძნის დაწურვა; რა ხანს სძლებს ღვინო; რამდენის წლისაა გამოგზავნილი ღვინო.

უკეთეს ჩვენებურ ღვინოებისთვის დანიშნულია საჩუქრები: მენდლები და ფულები, ხუთი თუმანი და ორ თუმან ნახევარი.

*

აგერ რვა ცხრა წელიწადი იქნება რაც იმერლები და ოსები გადმოდიან შუა ქართლში დასასახლებლათ. სასოფლო ადგილებს უფრო ძველ ნასოფლარებს ირჩევენ, სადაც წყალია. ამ ნასოფლარებში, თუ ტყეებია, ჰკაფვენ. ძველი ნამგვრევის კედლები, საწნახელები, ხაროები და სხვა შენობა ახალ მოსახლეებს კარგათ ხარჯს უმცირებს. აქ გვარათ დასახლებულან: ყელეთში, ხავლეთში, ოქროს-სოფელში და მთელ ძოვრეთის ხეობაში და სხვაგან. ეს სოფლები ამავე სახელით ძველი ნასოფლარებია და ძოვრეთი ნაქალაქევია. ჩვენი მამულის პატრონები რომ კაი ანგარიშის ხალხი იყოს, კარგათ ხელი უნდა გაუმართონ გადმოსახლებულებს. ამ სახით იმათი ცარიელი მამულები ხალხით გაშენდებოდა.

*

ამ თვეებში ჩვენი ქალაქის ვაჭრები ძალიან უჩიოიან ქესატობასა. თუმც ზაფხულობით მუდამ ქესატობაა, მაგრამ ეს აგერ რამდენიმე წელიწადია დუქნებში ის აღებ-მიცემობა აღარ არის რაც ადრე იყო. ამისგამო ბევრი დიდი დუქნები შემცირდა და უფრო წვრილები ხშირდება.

*

წინა კვირეში რომ სიცივეები იყო, იმას აბრალებენ რომ მართლში თოვლი მოსულა. აგრეთვე, ამბობენ, ბორჯომში საშინელი დიდი სეტყვა ყოფილაო, თითო კაკლის ... და თითქმის მეტი[...] ამბა... მოგვსვლია.

*

ორშაბათს რუსულ ენაზე წარმოდგენ... მუშტაიდის ბაღში, ხალხი საკმაოთ მოსულ იყო; ცარიელი ადგილი ცოტა ... ჩა. როგორც წინათა ვთქვით, ეს წარმ... ნა გამართეს ახალ კურს დასრულებ... რამდენთამე ღარიბ ამხანაგთ შესაწევ... უნივერსიტეტში წასვლისათვის. რასაკ... ლია, დიდი ფული არ ერგებათ ამ შ... რიდგან, მაგრამ აქა სჩანს ამხანაგობის ... რული, რომელიც არის ყმაწვილი კაც... მამშვენებელი ღირსება. ამხანაგობაში ... რება, ამხანაგობაში სწავლა, ამხანაგ... ყოფნა— ეს ისეთი საჭიროებაა ყმაწვილ... ცისათვის და მეტადრე მოსწავლესათვის, უამისოთ კაცი შეიქნება გაუხსნელის ... ჩლუნგებულის გონებისა. გულიანათ ... ვებთ ზემოხსენებულ ყმაწვილკაცთათვ... საზოგადოთ ყოველთათვის იმ გრძნობის ... მტკიცებას და გახსნას, რომელმაც ამხან... ბისათვის ამჟამათ თავი გამოაყოფინა ს...

*

ჩვენი გაზეთის ერთს წინანდელ ნ... თაგანში იყო მოკლე შენიშვნა მელმანი... მეზე. თუ ახსოვს მკითხველს, ვაჭარს ... მანს აბრალებდენ თავის შაგირდების ის... ტიკათ მოპყრობას, რომ ერთს იმ... ველარ მოითმინა და თავი მოეკლა. უ... იტერმა, რომელიც მელმანის მოსარჩლე... ოლქის სასამართლოში ისე ოსტატურა... ყვანა მაშინ საქმე, რომ მელმანი ... მართლეს. ამ დღეებში ეს საქმე გან... ტფილისის სამოსამართლო პალატამ; ... იცნო მელმანი შაგირდების სასტიკად ... რობაში დამნაშავედ და გადუწყვიტა ს... ლად წელიწადი და ოთხი თვის ვადით ... სალება.

# რუსეთი

აი რას სწერენ პროვინციალურ გაზ... ერთს რუსულ ჟურნალში, რომლის ს...

---

იქვე სამი პაწა ბავშვები, თმა გაწეწილები ფეხ ტიტველანი, პირ-გამურულნი, ქვაბში და ვარცლში ჩასცქერიან და თან ჩაკვნესიან, ხორცი მაჭამეთო. ნუ თუ ამათთვისაც აღდგომაა დღეს, ნუ თუ ესენიც რიგიან საჭმელს ვერ შოულობენ სხვა დროს თავის მამის ოჯახში, რომელსაც დიდებული, სტუმრების დაპატიჟებით თავი ცამდინ აქვს!..

×

არც პერანგის ამხანაგი, არც ქუდი, არც ფეხსაცმელი იმათ პატრონს საჭიროთ არ დაუნახავს თავის მურტალ შვილებისათვის, მაგრამ რომ კიდეც დაენახა, ფული?... ფულს შოვნა არ უნდა?—

ის კიარა, ნეტა იმის ადგილ-მამულები სულ ერთიანათ გირაოთ იკმაროს ამისთანა მასპინძლობისათვის და ღმერთს თაყვანს შესწირავს! შინ ყმაწვილების ჩაცმა-დახურვას და იმათ სუფთათ შენახვას ვინ დაეძებს.— მაშ გაზრდა, განათლებაო?—იტყვის მკითხველი.—ერთი შენც დალოცვილო!—სადაური განათლება! რათ უნდა ქართველს განათლება? ჩვენი მამა-პაპანი თუ არ ყოფილან განათლებულნი, მისთვის თურმე პური ვერ უჭამიათ საწყლებსა!—გიპასუხებთ ზემოხსენებული პურადი მასპინძელი.

×

კიდეც იმიტომ არიან ასე ბევრი ყმაწვილები ჩვენ ტფილისის გიმნაზიებში ქართლიდგან და კახეთიდგან. ტფილისის რეალურს გიმნაზიაში ბევრი-ბევრი თუთხმეტი ყმაწვილი რომ იყოს ქართველი, ღმერთს მადლობას შევსწირავთ. აი, მაგალითი, სხვა შენიშვნა ამას აღარა უნდარა. მადლი ჩვენს პურადობას!

×

ახლა ჩვენ ისევ ზემოხსენებულს სურათზე ვილაპარაკოთ. ბოლოს ეს მასპინძლობაც გათავდება. დიდებული სტუმრები კარგი სადილისათვის მადლობას უძღვნიან გულუხვ მეოჯახეს და წავლენ თავისგზით; მასპინძელს კი ხელში რჩება მხოლოდ გალოკვილი ძვლები, გახრეკილი ბედლები და ღვინით ამოცლილი ქვევრები. ამის შემდეგ ასე გაშინჯა, ძალლიც ველარ შოულობს გამხმარ მჭადის ნატეხს საქურდლათ, თავის პატრონის ოჯახში; ერთი ათად ფრთა გამოსხმული ქართველი მებატონე კი დოინჯებ შემოდგმული, წელ გადაბრენძილი გძელი ჩიბუხით ხელში გადის-გამოდის და ნებივრობს თავის გახრეკილს ოჯახში; აქაოდა, შემხედეთ, რა დიდი ვინმე ვარ, იმისთანა სტუმრები ვეწვიე, რომ ჩემს მეზობლებს სიზმრათაც არ მოეჩვენებიათო. ეოჩალ შენს სახლ-კარიანობას ქართველო, ყოჩაღ!...

×

ამ სახით ჩვენს ერს თუ დასცემს, უეჭველათ ეს შინაგანი სენი დასცემს, რომელსაც ჩვენ დავუძახებთ ფ უ ჭ-თ ა ვ-მ ო ყ ვ ა რ ე ო ბ ა ს. ამ ფუჭ-თავ-მოყვარეობის, ანუ უკეთ ვთქვათ კ უ დ ა ბ ზ ი კ ო ბ ი ს ბრალია, თუ დღეს მთელი ქართლ-კახეთის ადგილ-მამული სომხებს აქვთ ხელში ჩავარდნილი. ჩვენ არ დაგვიწყნია ის ნეტარი დრო, როდესაც ქართველი თავადი ბალში ჩასაცმელს კაბისთვის მთელს ზვარს აგირავებდა, როდესაც ქართველი თავადი უზარ-მაზარი ქვით-კირის შენობისათვის თავის მიწა-წყალს პრიკაზში აძლევდა, რომ ღონე ჰქონოდა დიდებული სტუმრები ევროპიულათ გამართულ სასახლეში მიელო და ამ დიდებულს სტუმრებსაც ეთქვათ, ყოჩაღ ქართველო, რომ ევროპიულ განათლების კვალზე დაგიწყია ცხოვრებაო! თუმცა შინაგანს მისს მდგომარეობას არაფერი ევროპიულო არა ეცხოვრა და გული შუა-აზიის ხალხის მცხოვრებზე უფრო ბნელი ჰქონდა. აი, ამ გარეგან მდიდარს მდგომარეობას ჩაუყლაპავს ქართველის ყოფა-ცხოვრება და ჩაუსომს ყელამდის ვალში.

×

ზემოხსენებულივე კუდაბზიკობაა მიზეზი, რომ იმერელი თავადი ოქრო-მკედით გატყლაპულ ჩოხაში და ბედაურს ცხენში იყიდება, მაშინ როდესაც საცვალი პერანგი და პერანგის ამხანაგი არა აქვს და ის მხლებლები, რომელნიც იკვებებიან გარეგანათ განათებულ და გაჩირაღდნებულ ქართველის ხორცით, ისე მრავლდებიან, რომ ოქრო-მკედის ღილებშიაც კი იკეთებენ თავის შესაფარს. იმავე კუდაბზიკობის მიზეზით, იმერეთის გლეხი, რომელსაც ღვინის წვეთი არ მოსვლია თავის დღესასწაულობის დროს, ხარს, ძროხას, ცხენს და სხვ. რაც კი ხელში მოხვდება, ყოველ-ფერს ჰყიდის, რომ იმდენი ღვინო იყიდოს, რომ ქველა თავისი სტუმრები დიდებულ მებატონიანათ დაათროს და მთელი წლის სარჩო ერთ დღეს შეხვრიტოს.

×

ფუჭი-დიდების, ანუ კუდაბზიკობის ბრალია, რომ ზემოთ მოხსენებული ჩემი მეცნიერი მეგობარი მეტის-მეტი გულ-უხვობისაგან თან-და-თან ვალში ვარდება და, რომ კიდევ ღონე ჰქონდეს თავის დიდებული სტუმრების მასპინძლობისთვის, კაპწია ცოლი ჩაიპრაწია: რაც კი ხელში... რაღა სტოვებს სამიჯნურო ბუდეს და მრავალნაირ მანქანებით შოულობს მა... ლობის ღონის-ძიებას. ამსახით დიდი ... ტარა, მარტო ამ ფუჭ თავ-მოყვარე... ვართ შეპყრობილნი, რომელიც ძაფზე ... დებულ დამოკლესის მახვილსავით გვე... დაღუპვას.—დრო არის, ვგონებ, განვაგ... ეს დამღუპველი კუდაბზიკობა.

×

რაც ერთ დროს იყო, ის ახლა აღარ არის, სანუგეშებლათ მეტყვის გულ-ჩვილი მკით... ლი. ამჟამათ ყველანი გლეხიცა და თავა... ნაურობაც შრომას და ზომიერებას ცდილ... ნო. ვერ ჰხედავ, როგორის იმედით შე... რის ჩვენი თავად-აზნაურობა ბანკის ... თვას და მუდამ თაიჩალუნული ფიქრ... თავის ხიდარიბეზე.

— ნეტამც ეგრე იყოს, ჩემო მკითხვე... მაგრამ რაღაც არ მჯერა ეს ამბავი —ამ... თმა ვინმე სტუმარმა ჩამოიაროს ჩვენში, მე დარწმუნებული ვარ, უკანასკნელი ... გული კაპეიკი თუ გაგვაჩნია, იმასაც არ ... ზოგავთ, რომ გულ უხვად გაუმასპინძლ...

„ვნახოთ ბოლოს რა იყოს
რა გამოვა, რისაგან;„
თუ ეს მართალი იყოს,
„დავრჩეთ წყლულნი მისაგან.“

—

„მაშინ დავკრათ
დიმპლიპიტო ხმოვანი;
სხვა რაღა ვქნათ,
ვიწყოთ ოხვრა გლოვანი“.

ბორისელი.

შენიშვნის ქვევით არის მოყვანილი: „ჩვე- პროვინციალური ბეჭდვა სამწუხარო მდგო- რეობაშია: ის მოკლებულია იმ შეღავათებს, ომლითაც სარგებლობენ სატახტო ქალაქე- ს (პეტერბურღის და მოსკოვის) გაზეთები ჟურნალები და არც გამაფრთხილებელი ენზურისაგან არის თავისუფალი; ამასთანავე არ არის განთავისუფლებული სასამართლოს პასუხის-გებისაგან, როცა რომელსამე რძო პირს ან უწყებას ჰგონია, რომ ის შე- რაცხყოფილია რომელსამე გაზეთში. ამას ინეთ ვაცნობეთ მკითხველებს, რომ ყველა ედაქტორები ოდესის გაზეთებისა ერთ და მავე დროს სამართალში იყვნენ მიცემული; ხლა ისინი ხელმეორედ უნდა წამოსხდენ რალდებულების სკამზე. ასე ხშირი ჩივილი აზეთებზე ამტკიცებს, ერთი მხრით, მომჩივ- ების გარდამეტებულს თავის-მოყვარეობას ა, მეორეს მხრით, ეს წარმოსდგება იმისა- ან, რომ პროვინციალურ გაზეთებს არა ქეთ მოლაპარაკების უფლება ბევრ ყურად- ების ღირსს საგნებზე და ამისგამო ისინი ულებულნი არიან, რომ უფრო მომეტებუ- ათ კერძო საქმეებზე ილაპარაკონ. ამისგამო სურველია, რომ იმ კამისიამ, რომელიც ემდგარია ახლა ბეჭდვის კანონების გასახი- ავად, მისცეს პროვინციალურ ბეჭდვას ის ფლება, რაც სატახტო ქალაქების ბეჭდვას ქვს. თუ მთელი რუსეთის ბეჭდვისთვის არ შე- ძლება დაიდვას ამისთანა კანონები, ისეთ ქალაქებს, როგორც ოდესსა, კიევი, ხარკო- ვი, ყაზანი და სხ. მაინც უნდა მიეცეს შე- ღავათი.

Недѣля — № 19.

*

1865 წელს მმართებლობამ დანიშნა ერ- თი მილიონი და ხუთას სამოცდა რვა ათასი მანეთი (1,568,000) პოლშაში საზოგადო სა- ჭიროებისთვის მოსახმარებლად; წელიწადში ამ თავნიდან სამოცდა ორი ათასი მანეთი სა- რგებელი შემოდიოდა; კამიტეტმა, რომელიც ამ ფულების წასაძღოლად იყო დანიშნული, დაწყვიტა, რომ ყველაზე უფრო სასარგებ- ლო საქმე პოლშაში ს ა ს ო ფ ლ ო ბ ა ნ კ ე- ბის გამართვა იქნებაო. კამიტეტმა გამოიკვ- ლია ჯერ სხვა სასოფლო ბანკების დაწყობი- ლება და სოფლის ხალხის საჭიროება და ამის შემდეგ შარშან ოთხმოცდა ხუთ სოფელში გახსნა სასოფლო ბანკები; ბანკებს გაუნაწი- ლა ერთი წლის სარგებელი თანხისა (ე. ი. 62 ათასი მანეთი); ასე რომ თითო სასოფ- ლო ბანკს შვიდას ოცდა შვიდმეტი (737) მანეთი ერგო. მეორე და მესამე წლის თანხის სარგებელიც, მმართებლობის ნებართვით, კა- მიტეტმა ამ საქმესვე მოახმარა. როცა ბან- კებს შეძლება ექნებათ, ეს თავნი (737 მან.) უნდა დაუბრუნდეს ხაზინას. ამ ჟამად პოლშის სოფლებში ამ ფულებით სულ სამა- სი სასოფლო ბანკია თურმე გამართული. სო- ფლის მცხოვრებლებმა ისე სასარგებლოთ და- ახვეს ეს ბანკები, რომ, საცა მმართებლო- ბის ფული არ გასწვდა და თვითონ სოფლე- ლებს ჰქონდათ ცოტაოდენი შეძლება, იქ თვითონ გამოიღეს ფული და თავის საშუა- ლებით გამართეს პატარ-პატარა ბანკები.— ეს ბანკები, უეჭველია, დიდს შეღავათს მისცემენ პოლშის სოფლის ხალხს, რადგან გაჭირვების დროს ყოველთვის შეეძლებათ იქიდგან ფუ- ლების გამოტანა. პოლშაში მთელი ვაჭრობა, მაშასადამე ფულებიც, სულ ებრაელების ხელშია და, დაჭირების დროს, სოფლელმა ყოველთვის იმათ უნდა მიმართოს და ხშირად წელიწადში თუმანზე თუმანი სარგებელი უნ- და გადაიხადოს, მაშინ როდესაც სასოფლო ბანკში თუმანზე იმას მარტო ოთხ აბაზს გა- ახდევინებენ.

*

„მმართებლობის უწყებებიდგან“ ვტყობი- ლობთ დაწვრილებით ცნობებს იმ ამბავზე, რომელიც ამ მოკლე ხანში მოხდა ერთ პეტერბურღის ფაბრიკაზე, და რომელზედაც რამდენიმე სიტყვა იყო მოხსენებული წინან- დელ „დროების“ №-ში: „23 მაისს ქალალ- დის საკეთებელ ფაბრიკაზე შეიკრიბნენ სამოც- და სამი მუშა-კაცი, მივიდენ ფაბრიკის მმარ- თველთან და გამოუცხადეს, რომ, თუ ჯამაგირს არ მოგვიმატებთ, მუშაობას თავს დავანებებ- თო. მმართველს თავის-თავით არ შეეძლო ჯამა- გირის მომატება და ამიტომ იმან გაგზავნა მუ- შები ფაბრიკის კანტორაში, რომ იქ გამო- ეცხადებინათ თავიანთი თხოვნა. კანტორამ მუშების თხოვნა უსაფუძვლოთ დაინახა და ამიტომ უარი უთხრა იმათ. ამისგამო ამ ფაბრიკის რვაასმა მუშამ თავი დაანება მუ- შაობას და შემდეგ მუშაობა შეჩერდა.

1862 წლის მუშების კანონების, §2 ძა- ლით, მუშებს არა აქვთ უფლება თავი მია- ნებონ მუშაობას, თუ ერთი თვით წინ არ გაუცხადებიათ ეს თავის სურვილი კანტორა- ში, ან ფაბრიკის მმართველისთვის. ამგვარი ყოფა-ქცევისთვის დადებულია კანონი (სტ. 1358 წესდება გასაწვრთნელ და სისხლის სამართლით დასჯაზე), რომელშიაც სწერია: „თუ რომელიმე ფაბრიკის ან ქარხანის მუ- შებმა დანიშნულ დრომდინ პირი შეთქვან და ერთხმით დაანებონ თავი მუშაობას, იმის- თვის რომ ამნაირი ძალდატანებით მოამატე- ბინონ ფაბრიკის პატრონს მუშაობის ფასი— ისინი დაისჯებიან: მოთავენი—სამი კვირიდან სამთვემდი დატუსაღებით და სხვები—შვიდი დღიდგან სამ კვირამდი.“—ამისგამო ზემო- ხსენებული ამბავის გარემოება შეატყობინეს სასამართლოს, რომელმანც გამოძიება დანი- შნა ამ საქმის გამოსაკვლევად.

*

მეორე ამნაირივე შემთხვევა, „შინაგის უწ- ყებების“ სიტყვით, მომხდარა პეტერბურღს ერთს სამკერვალოში, რომელშიაც მარტო ქა- ლები მუშაობენ; ამათ გამოუცხადებიათ თა- ვიანთ ალისათვის, რომ, თუ ჯამაგირს არ მო- გვიმატებ და კვირაში ორ თავისუფალ დღეს არ მოგვცემ, შენს მუშაობას თავს დავანე- ბებთო. ამაზე იმათთვის უთქვამთ პასუხათ, რომ, თუ ძველ პირობაზე არ იმუშავებთ, სამკერვალოში ნუღარ ილით და მუშაობას თავი დაანებეთო.

*

ხარკოვში, თვითონ საზოგადოების ხარჯით გაიხსნება ამ მოკლე ხანში ორი შკოლა: ერ- თი ქალებისთვის და მეორე ვაჟებისთვის. ეს შკოლები იმართება მათხოვრების და ღარიბე- ბის შვილებისთვის, რომელნიც სიყმაწვილი- დგანვე, გაჭირვების გამოისობით ეჩვევიან მა- თხოვრობას და ამით ფუჭდებიან. ხარკოვის შკოლებში ყმაწვილებს ასწავლიან წერა-კით- ხვას და უსათუოთ რომელსამე ხელობას, რომლის შემწეობით, რომ გაიზდებიან, იმათ შეეძლებათ თავის დარჩენა.

## უცხო ქვეყნები

### ინგლისი

ინგლისის და საზოგადოთ თითქმის ყველა უცხო ქვეყნების გაზეთები სავსე არიან ამ უკანასკნელ დროს ირლანდიის არეულობის ამბებით. თვითონ ინგლისის ხაზოგადოება ძალიან შეშინებულია ირლანდიაში და კანა- დაში (ამერიკაში) ხალხის მოძრაობისაგან. კანადაში დაიარაღებული ფენიები (ირლან- დიის რევოლუციელები) დასხმიან რამდონი- მეჯერიკაურ ქალაქებს დამოუნდომებიათ იმათი დაჭერა, მაგრამ, როგორც ინგლისური გაზე- თები იწერებიან, ვერაფერი ვერ დაუკლიათ; ზოგიერთი ფენიებთაგანი კიდეც დაუტუსა- ლებიათ. გლისის მფლობელობისაგან და სანამ მიწა- წყლის საქმე არ გათავდებაო, მანამ ჩვენ ხალხს სიკეთე არ დაეყრება და მანამ მშვი- დობიანობის დამკვიდრებას ნუ მოელის ინ- გლისის მმართებლობაო. ჩვენმა მკითხველმა იცის, რომ უმთავრესი მიზეზი ამ გაუწყვეტე- ლი არეულობისა ირლანდიაში არის ის გა- რემოება, რომ იქაური ხალხის მომეტებული ნაწილი სრულიად უმიწა-წყლო და უსახლ- კაროთ არის დარჩენილი. ამ უკანასკნელ დროს ინგლისის პარლამენტმა ამ საქმეს მიაქცია ყურადღება და, როგორც „დროებაში“ იყო ნაჩვენები, პირველმა მინისტრმა—გლადსტონმა, შეიტანა წელს ბილი, რომელმაც ცოტათი შეუმსუბუქა მდაბიო ხალხს ადგილ-მამულის შეძენის საშუალება. მაგრამ ირლანდიელები კმაყოფილი არ არიან ამ განკარგულებისა და უფრო მომეტებულს თხოულობენ. ეს გარე- მოება რომ მივიღოთ მხედველობაში, ადვი- ლათ გასაგები იქნება ის არეულობაები და მემამულეების ხოცვა, რომელიც ამ უკანასკნელ დროს მაინც ერთობ გახშირდა ირლანდიაში.

— ინგლისის პარლამენტში იყო ამ უკა- ნასკნელ დროს სჯა ქალების მდგომარეობის შესახებს საგნებზე; ერთი ბილი თხოულობ- და, რომ ქვრივ კაცს თავის ცოლის-დის შერთვის ნება მისცემოდა და მეორე იმას, რომ ქმრიან ქალებს მინიჭებოდათ უფლება საკუთრების ქონისა *), პირველი ბილი უარ- ჰყო პარლამენტმა და მეორეზე კი კიდევ იქნება მოლაპარაკება.

—როცა მადრასში (ინდოეთში) ინგლისის დედოფ- ლის მეორე შვილი ალფრედი იყო, ერთმა იქაურმა გაზეთმა დაბეჭდა წიგნი, რომელიც ალფრედისთვის მის უფროსს ძმას, ინგლისის ტახტის მემკვიდრეს, მიეწე- რა. ეს წიგნი ყველა გაზეთებმა გადმობეჭდეს, მაგრამ მარტო ერთის მეტს არავის გამოუთქვამს ეჭვი, რომ ეს წიგნი მოგონილიაო.—მოგონილია თუ არა, წაკით- ხვათ მაინც ღირს. აი, როგორა ხატავს თავის მდგო- მარეობას ინგლისის მომავალი მეფე.

ჯერ ამბობს რამდონსამე სიტყვას იმ ახირებულ პრო- ცესზე, რომელშიაც თვითონ პრინცი იყო გარეული, მარდაუნის ჩივილით, რომელიც თავის ცოლის შეცდე- ნას აბრალებდა იმას. მერე ახე აგრძელებს:

„გაზეთები, რასაკვირველია, თავზე დამეცენ, და Times'-მა ამ შემთხვევაში თავისი უკმაყოფილება გა- მომიცხადა. მაგრამ, რაგინდ უსიამოვნო იყოს ამ ნაი- რი საქმეები, მაინც უნდა დავემორჩილოთ...

„როცა სანადიროთ დავიარები და მხეცებს და ნადირს დავხდევ, ყასაბს და ქარაფშუტას მიძახიან; და როცა ვცდილობ სახელმწიფო საქმეებზე რამე გავლენა მქონ- დეს, მეუბნებიან, რომ ჯერ მაგისი უფლობა არა გა- ქვსო. მუდამ ჩვენ განსვენებულ მამას მაგონებენ და მისი მაგალითის მიბაძვას მირჩევენ; ის კი ავიწყდებათ, რომ იმას სულ სხვა ადგილი ეჭირა და მე—სხვა. მე- უბნებიან, რომ იმასავით ამა და ამას უნდა მოვერიდო, იმასავით კეთილი უნდა ვიყო. მითხარი, თუ ღმერთი გწამს, განა ყველა ახალგაზდები დიდი-ხნის მკვდარ მა- მაზე ფიქრის მეტს არას შვრებიან? მე ბევრ ისეთ ახალ- გაზდებს ვიცნობ რომ კარგათ არც კი იციან —ჰყავდათ იმათ როდისმე მამა, თუ არა...

„შემოდგომაზე, ჩვენ იქნება ირლანდიაში წავიდეთ, თუმც ეს მოგზაურობა ალექსს (იმის მეუღლეა — ალე- ქსანდრა) არ მოსწონს. ის ამბობს რისთვის მიუშვი- როთ შუბლი ირლანდიელ ტყვიებსაო?

„ირლანდიის აღშფოთებული მდგომარეობა ძლიერ აწუხებს გლადსტონს (ინგლისის პირველ მინისტრს). მე არ ვიცი, რა სურთ ირლანდიელებს, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ იმათ თვითონ არ იციან რა სურთ. ძალიან ვწუხვარ, რომ ისინი ეგრე უკმაყოფილოთ არი- ან თავიანთ მდგომარეობაზე. მე ვერაფერი გზით ვერ ვაქებ იმათ, რომ დამალულათ ხოცვენ მამულის პატ- რონებსა... თუ ირლანდიელებს ჩემი მოკვლა სურთ, აქვილათ შეუძლიათ ლონდონში მომკლან, რად უცდიან ირლანდიაში ჩემს მისვლას? მე არ ვიტყვი, რომ ძალიან ხასიამოვნოთ დარჩეს ჩემთვის თოფის მიზნათ რომ შევიქნე; არა, დამტვრეული ძვლების ნამეტანი მოყვარე არა ვარ... მაგრამ ეხლანდელ დრო- ში ბევრს რასმე არ უნდა მიაქციოს კაცმა ყურადღება: ამასთანავე, მე აქაურმა ცხოვრებამ თავი მომაბეზრა...“

### იტალია

იტალიის ქალაქებში და მაზრებში არეუ- ლობა თან და თან ძლიერდება: ზოგიერთს ქალაქებს განდგომილები დასცემიან თავზე და სატუსაღოებიდგან ბევრი პოლიტიკური დამნაშავეები გაუთავისუფლებიათ. მილანიდ- გან გამოსულა სამოცი კაცი, რევოლუციე- ლების მომხრეები და კამოს ტბასთან ახლო- მახლო სოფლებს აღელვებენ თურმე. იტა- ლიურ გაზეთებში სწერენ, რომ ამ მოძრაო- ბას წმინდა პოლიტიკური ხასიათი აქვსო: რე- ვოლიუციელებს, მაძძინის თაოსნობით, სურსთ თურმე რესპუბლიკური მმართებლობა დაამ- კვიდრონ იტალიაში. მმართებლობამ მიიღო ჯეროვანი ზომები ამ არეულობის მოსასპო- ბელად და როგორც ამბობენ, ბევრი განდ- გომილები დაუტუსაღებია; იმათი ქაღალდები- დგან და წიგნებიდგან მმართებლობა დარწმუ- ნებულა, რომ არეულობაებში გარიბალდის უცროს ვაჟს—რიჩჩიოტის და მაძძინის დიდი მონაწილეობა მიუღიათ.—მაძძინის მიუწერია წიგნი რომის მსოფლიო კრების წევრებისა- თვის, რომელიც ერთს ინგლისურ გაზეთშია დაბეჭდილი. ამ წიგნში ის ადარებს ახლანდე- ლი მსოფლიო კრების დი ნიკეის კრების მოქ- მედებას; ეს უკანასკნელი კრება იყო ქრის- ტეს დაბადების შემდეგ მესამე საუკუნეში. აი, რას ამბობს მაძძინი თავის წიგნში:

„ნიკეის კრება იყო ყოველგვარი ქრისტიანების წარ- მომადგენელი და ახლანდელი რომის კრება კი მარ- ტო კათოლიკე სარწმუნოების წარმომადგენელია. ნი- კეის კრება სწუხდა დაჩაგრული და ღარიბი ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობაზე და სცდილობდა იმათ შე- წევნას; ახლანდელი კრება კი თითქო ტრაბახობს თა- ვის სიმდიდრით და სრულიად გულ-გრილად შესცქე- რის კაცობრიობის გაჭირვებულს და დაჩაგრულს მდგო- მარეობას. ნიკეის კრებას ეჭირა ხელში კეთილზნეობის, წარმატების და განათლების დროშა; ახლანდელ კრე- ბას კი ძალდატანების და ბრმათ მორჩილების დროშა უჭირავს. „თქვენ გნებავსო,ეუბნება მაძძინი ახლანდე- ლი კრების წევრებს, რომ აღადგინოთ დიდიხნის და- მარხული წარსული დრო და სწყევლით იმ თაო- ბას, რომელიც არ გეხმარებათ ამ საქმეში.... მაგრამ, რაც უნდა ქნათ, ეს კრება გვიმტკიცებს, რომ თქვენი რელიგია დაეცა და ახლოვდება ის დრო, როდესაც იმის მაგიერათ ქვეყანაზე ახალი სარწმუნოება უნდა დამკვიდრდეს.“ —

### შვეიცარია

ამ მოკლე ხანში შეიკრიბა ჟენევაში „მშვი- დობიანობის და თავისუფლების ლიგის“ კო- მიტეტი და გადასწყვიტა, რომ მომავალს, მე- ოთხე კონგრესზე იმათ შემდეგ საგნებზე უნ- და მოილაპარაკონ: 1) ოსმალეთის და პოლ- შის მდგომარეობაზე; 2) უნდა მოილაპარა- კონ იმ საშუალებაებზე, რომლის შემწეობით შესაძლებელი იქნება ევროპის ქვეყნებში ჯა- რის გაუქმება; 3) უნდა მონახონ ეკონომიური და ზნეობითი ღონის-ძიებანი, რომელნიც და- ეხმარებიან კაცებში ყოველი უთანხმოების და ჯიბრის მოსპობას; 4) ბოლოს იქნება სჯა იმაზე, თუ რა ღონისძიებით შეიძლება მიეცეს ხალხს, (კაცებსა და ქალებსა), უფასოდ სწავ- ლის მიღების საშუალება.—ეს მეოთხე კონ- გრესსი „მშვიდობიანობის და თავისუფლების ლიგისა“ იქნება ამ წლის 12 სექტემბერს ციურიხში.—

### ოსმალეთი

გაზეთებში დაწვრილებით არის აწერილი კონსტანტინოპოლის ცეცხლის ამბავი. ცეც- ხლი გაჩენილა 5 ივნისს, პირველად ჰერუს უბანში და სამ დღეს ვერ გაუქრიათ. ამ დღეს

*) ამ კანონის დადებამდი ინგლისში საზოგადოთ ქალს საკუთრების ქონა არ შეეძლო, ე. ი. იმას არ ქონდა მფლობელობითი უფლება: ყველაფერი, რაც ქმრიან ქალს ქონდა შეძენილი, ან მზითვი მოჰყვებო- და, კანონით, ქმარს ეკუთვნოდა და დედ-მამიანი ქა- ლის შენაძენი—მშობლებსა.—

აქაურ სომხებს რაღაც დღესასწაული ქონდათ და, ქალაქს გარეთ იყვნენ, ასე რომ იმათი უპატრონო ქუჩები სრულიად დაიფუფქა. ძნელი გამოსაანგარიშებელია თურმე, რამდენი ზიანი მოუტა ამ ცეცხლს მცხოვრებლებისათვის. პირველ უბანი საუკეთესო ნაწილი იყო ქალაქისა, აქ იყო საუკეთესო სახლები და მაღაზიები. გაზეთების გამოანგარიშებით, 7,000 სახლი დამწვარა. თითქმის ერთი სახლიც არ გადარჩენილა ამ უბანში; სხვათა შორის დამწვარა ინგლისის, ამერიკის და პორტუგალიის საელჩოები, თეატრი და სომხის პატრიარქის სახლი. ას ორმოცდა ათი დამწვარი კაცი უპოვნიათ ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ; სულ, ამბობენ, ორას კაცზე მეტი დამწვარა ამ ცეცხლის დროს. რამდენიმე ათასი ოჯახი სრულიად უსახლ-კაროთ და ულუკმა-პუროთ დარჩენილა და საწყალთ დაიარებიან თურმე სტამბოლის ქუჩებში. მმართებლობა და საზოგადოება აძლევს იმათ ცოტ-ცოტა შემწეობას, მაგრამ იმათი მდგომარეობა ძალიან საცოდავია თურმე.—

— ოსმალეთის მმართებლობა ახლა უკეთ ეპყრობა თავის ქვეშევრდომ ქრისტიანებს, ვიდრე წინეთ, ახლა სურსო, ამბობენ, ყველა სარწმუნოებას თავისუფლება მიანიჭა, ე. ი. სამსახურში და სხვა უფლებებში ქრისტიანებსაც ის უფლება ექნებათ, რაც აქამომდე მარტო ოსმალებს ჰქონდათ.

## ქ ა ლ ე ბ ზ ე დ.

გაზ. „პეტერბურღის უწყებანი" გვაცნობენ შემდეგ სასიამოვნო ამბავს: „5 (17) მაისს ერთმა ფინლანდიელი რუსის ვაჭრის ახალგაზდა ქალმა—ჩიჩულინამ, დაიჭირა გელსინგფორსის უნივერსიტეტში შესასვლელი ეგზამენი და კიდეც მიიღეს ის ამ უნივერსიტეტში სტუდენტათ. ეგზამენების გათავების შემდეგ რომ დაბრუნდა ეს ქალი შინ, სახლის წინ დახვდენ სტუდენტები, რომელნიც სიმღერით და ურას ძახილით მიეგებენ. ამ დღესვე, საღამოს, ჩიჩულინას სადგომის ფანჯრების წინ, ქუჩაზე, შეიკრიბენ კიდევ სტუდენტები და აგრეთვე სიმღერითა და ურას ყვირილით მიუალერსეს. ჩიჩულინა არის პირველი სტუდენტი-ქალი ფინლანდიის და საზოგადოთ მთელი რუსეთის უნივერსიტეტებში." ეს ამბავი მით უფრო სასიამოვნოაო, ამბობს გაზ. „Недѣля", რომ, ამ მაგალითის შემდეგ, შესაძლებელია რუსეთის სხვა უნივერსიტეტებშიაც შესვლის ნება მიეცესთ ჩვენ ქალებსო.

*

ზემომოყვანილს გაზეთშივეა დაბეჭდილი საინტერესო სტატია იმაზე თუ—რომელსა და რომელს სახელმწიფოებში იღებენ ქალებს ტელეგრაფის სამსახურში და სად უფრო მომეტებული უფლება აქვთ იმათ მინიჭებული. ამ სტატიიდგან ვცნობთ, რომ, ავსტრიას, ესპანიას, რომს, საბერძნეთს, ოსმალეთს და ზოგიერთ სხვა წვრილ სახელმწიფოებს გარდა, თითქმის ყველგან იღებენ ქალებს ტელეგრაფის სამსახურში; მაგრამ ყველგან კი ერთნაირი უფლება და ჯამაგირი არა აქვთ იმათა. ბელგიაში, ბავარიაში და სამხრეთის გერმანიაში იმათ ტელეგრაფისტობის ადგილს არ აძლევენ: მხოლოდ თავიანთი მამის, ქმრის ან ძმის თანაშემწეობის თანამდებობას აძლევენ; ჯამაგირიც თხუთმეტ—თექვსმეტ თუმანზე მეტი იშვიათად აქვთ. იტალიაში, ვენგრიაში და საფრანგეთში ქალებს აძლევენ ტელეგრაფისტობის თანამდებობას, მაგრამ მომცრო სტანციებზე, სადაც ხშირი გაგზავნ-გამოგზავნა არ არის დეპეშებისა. ჯამაგირი ამ სახელმწიფოებში იმათ ოც თუმნამდინა აქვთ. ბოლოს, დანიაში, ნორვეგიაში, სვედიაში, შვეიცარიაში და ბადენში ქალებს ყოველგვარ სტანციებზე იღებენ და ჯამაგირსაც მომეტებულს აძლევენ. რუსეთში ტელეგრაფის სამსახურში მიღებაზე ქალებისთვის სხვა კანონებია დაწესებული: ტელეგრაფის სამსახურში შესვლის მსურველი ქალი უნდა იყოს ან გაუთხოვარი ქალი, ან და ცოლი იქ მოსამსახურე ჩინოვნიკისა, რომელსაც დაჭირების დროს შეუძლია ცოლის თანამდებობა აასრულოს; ამას გარდა ქალმა დაწესებული ეგზამენიც უნდა დაიჭიროს. ამგვარად, სამსახურში მიღებული ქალი ჩაირიცხება ტელეგრაფის უწყებაში მოსამსახურეთ და იმას, პენსიას გარდა, თითქმის ყველა ის უფლება მიენიჭება, რაც კაცებს აქვთ. რუსეთში ქალებს ყველა ტელეგრაფის სტანციებზე იღებენ; თავის საქმეში დახელოვნებულს და ენების (ფრანცუზულის, ნემეცურის და ინგლისურის) მცოდნე ქალებს ოთხასი მანეთიდამ ექვსასამდინ ეძლევათ ჯამაგირი. ამჟამად რუსეთის ტელეგრაფის უწყებაში სულ სამასი ქალი მსახურებს.—

*

რუსულ გაზეთებში სწერენ, რომ სახელმწიფო რჩევას უთხოვია ყველა სამინისტროებისა და სამმართველოებისათვის აცნობონ იმას, რა და რა თანამდებობის ასრულება შეუძლიანთ ქალებს, იმათი აზრით. სხვათა შორის პეტერბურღის დამოჟნას მოსვლია ამ მოკლე ხანში ქაღალდი უმაღლესი მთავრობისაგან—შეიძლებაო, რომ ქალებს მიეცესთ დამოჟნაში ბუღალტერის, იმის თანაშემწეს და კანცელარიის ჩინოვნიკის ადგილი, თუ არა. როგორც ამბობენ, დამოჟნას უარი არ უთქვამს ქალების სამსახურში მიღებაზე და ამისგამო დამოჟნაში რამდონსამე ქალს შეუტანიათ სამსახურში მიღების თხოვნა. უეჭველიაო, ამბობს ერთი რუსული გაზეთი, რომ აუარებელი ქალები მოინდომებენ სახელმწიფო სამსახურში შესვლას, როცა გაიგებენ, რომ იმათაც მიენიჭათ ეს უფლება; პეტერბურღში ძალიან ბევრი ისე ღარიბი ქალები მოინახებიან, რომელნიც მცირე ჯამაგირისთვისაც არ ითაკილებენ დილით საღამომდინ მუშაობას.

# ნარევი

ერთს ისეთ ახალ ამბავს ვაცნობებთ ჩვენ მკითხველს, რომ ის, განსაკუთრებით—თუ ქალია, უეჭველია, გაცვიფრებისაგან პირს დაალებს და ცოტა ხანს მაინც გამტერებული იქნება; შეიძლება, ნამეტანი გაკვირვებისაგან გაზეთიც გაუვარდეს ხელიდამ. წაიკითხავს თუ არა ამ ამბავს, მკითხველი ეჭვში შევა და იტყვის: ეს შეუძლებელი საქმეა, ეს უსათუოთ ტყუილი უნდა იყოსო! მაგრამ ამ ამბავის სიბეჯითეში ისეთი სანდო კაცები გვარწმუნებენ, რომელთაც ძნელად შეწამებს კაცი სიცრუეს და უსაფუძვლობას. რამდენი გასაოცარი და, პირველი შეხედვით, შეუძლებელი რამ ამოუჩენიათ და გამოუგონიათ სწავლულებს? ისეთი რამეები, რომლის სინამდვილეს კაცები პირველში, სანამ თავის თვალით არ ნახავდენ, არას გზით არ აპირებდენ დაჯერებას! ვინ იფიქრებდა, სანამ ტელეგრაფს არ მოიგონებდენ, მაგალითად, რომ ქუთაისის ამორჩევების ამბავი სამი საათის შემდეგ მეცოდინებოდა მე აქ, თფილისში?—ასეა ის ამბავიც, რომელიც ახლა მინდა გაცნობოთ თქვენ...

საქმე აი რაში მდგომარეობს: ფრანცუზულ ენაზე გამოვიდა ამ მოკლე ხანში ერთი პატარა წიგნი, რომლის დამწერი მოგვითხრობს, რომ ისეთი საშუალება მოვნახე, რომ **უშვილო ქალს, უკაცოდ, შვილს გაუჩენო**; ჟირო (წიგნის ავტორი) ამბობს, რომ ამ საქმის ასრულება ხელოვნებით, ე. ი. მამათსქესის დაუხმარებლად, არის შესაძლებელიო. იმას მოჰყავს რვა მაგალითი თავის მოგონილი საშუალებით უშვილო ქალის განაყოფიერებისა. ამ ნაირად იმას გაუჩენია ქვეყანაზე ცხრა სული: ოთხი ვაჟი და ხუთი ქალი; ერთხელ ქალ-ვაჟი ტყუპათ დაბადებულან; ამათ რიცხვში მხოლოთ ერთი ქალი, სამი თვის სიცოცხლის შემდეგ, მომკვდარა.—ეს სწავლული არ აცხადებს—თუ რა საშუალებაა იმის საშუალება და რა რიგათ იქცევა ამ გასაკვირველი საქმის აღსრულებაში მოუვანისათვის. უმეტესი ნაწილი საფრანგეთის და გერმანიის ექიმებისა ამბობენ, რომ ეს საქმე შესაძლებელიაო.

რამდენ უშვილო ქალს იამება და იმედი მიეცემა, როცა გაიგებს ამ სანუგეშო ამბავს და თავის გულითადი წადილის შესრულების შეძლებას! მოიფიქრეთ—რა შედეგები ექნება ამ გამოჩენას, თუ სრულიად ზეჯითი დარჩა? სადღა იქნება მაშინ: მემკვიდრეობა, კანონიერი და უკანონო შვილები, ქმრის ღალატი და სხვა?...

*

შარშანწინ ნაპოლეონის სასახლეში ერთს საღამოს ჩამოვარდა თურმე მუსაიფი იმაზე—თუ როგორ უნდა გაარჩიოს კაცმა ერთმანეთში ტყუილი და ჭეშმარიტება?

— გაუშვით ორივე ერთსა და იგივე კარებში, სთქვა იმპერატორმა, და დარწმუნებული იყავით, რომ ტყუილი ყოველთვის ჭეშმარიტებაზე წინ გავა.

წარმოსთქვა თუ არა იმპერატორმა ეს სიტყვები, ოთახის კარები გაიღო და გამოჩნდენ ორი მაშინდელი მინისტრები: რუერი და პინარი; ისინი კარგა ხანს ერთმანეთის თავაზში შეჩერდენ კარებთან: არა, თქვენ მიბრძანდით პირველად, არა, თქვენო. ბოლოს საფრანგეთის პოლიტიკის მაშინდელმა წარმომადგენელმა, რუერმა, შემოადგა კარებში ფეხი და პირველი შემოვიდა.

ყველას, რასაკვირველია, სიცილი წასქდა; სხვების წახედვით, რუერმაც, რომელსაც წინანდელი ლაპარაკი კი არ გაეგონა, ხმა მაღლა სიცილი დაიწყო.—წარმოიდგინეთ იმის სასაცილო მდგომარეობა!...

*

ერთხელ ერთი თათარი ჩამოალჩვეს ოსმალეთში იმისთვის, რომ სიზმარში ენახა-ვითომც ხონთქარი მოეკლას იმას თავის ხელით. საწყალი უწყალოთ ჩამოჰკიდეს თოკზე: როგორ გაბედე შენ ამისთანა სიზმრის ნახვაო?

*

ლონდონში ქუჩებზე მტვერის მოსასპობლად წელიწადზე ერთი მილიონი ფული იხარჯება თურმე; მაგრამ მშრალს და ქარიანს ტაროსში მტვერი იქ მაინც ბლომათ არის. როგორც ამბობენ, ახლა მოუგონიათ ინგლისში ისეთი საშუალება, რომელიც, მიასხამ თუ არა იმით ქუჩას, ამაგრებს მიწას, ასე რომ მტვერი აღარ ადგებაო. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ეს ძლიერ სასარგებლო მოგონებაა და განსაკუთრებით ჩვენი თფილისისთვის გამოსადეგი იქნება.

*

პოლშაში ერთ ლორს გასაკვირველი სახის გოჭი უშობნია: ამ გოჭს ერთი თვალის მეტი არა აქვს თურმე და ისიც შუბლზე; თვალის ქვევით, ინდაურსავით, ხორც-მეტა (გბბილო) აქვს წამოშვერილი; წვერები—სრულებით როგორც კაცის წვერები გინახავთ და ფეხებზე, ხუთი თითის მაგიერათ, ოთხ-ოთხი თითი აქვს.

---

### რედაქციის პასუხი

ამ ორი-სამი კვირის წინეთ რედაქციამ მიიღო უშველებელი სტატია შ. ბ—ისა სახელად: „ორიოდე სიტყვა უფ. კალანდარიშვილისაგან დაწერილ კრიტიკაზედ, რომელიც ამ წლის იანვრის № 1 „დროების" გაზეთში არის დაბეჭდილი, შესახებ შორაპნელი ბლოღოჩინის სტატიისა." სტატიასთან იყო წიგნიც, რომელშიაც ავტორი სთხოვდა რედაქციას, თუ შეიძლება, ეს პასუხი დაბეჭდეთო და თუ არა, მიზეზის განმარტებით, უკანვე დამიბრუნეთო. „დროების" რედაქციამ ვერ ნახა შესაძლოთ ამ პასუხის დაბეჭდვა და მაშინვე აცნობა ეს, წიგნით, ავტორს. ახლა შ. ბ. თხოულობს, რომ რედაქციამ დაბეჭდოს „დროებაში" თავის წიგნი, იმასთან მიწერილი, „რომ სხვებმაც გაიგონ, რომ მე უფ. კალანდარიშვილის კრიტიკა სულ უპასუხოთ არ გამიშვიაო." ამასთანავე ავტორი თავის სტატიასაც უკანვე თხოულობს. რედაქცია კმაყოფილებით ასრულებს როგორც პირველს ისე მეორე თხოვნასაც.— რედ.

აი „დროების" რედაქციის წიგნი „ორიოდე სიტყვის" ავტორთან:

„ძლიერ სამწუხაროა, რომ თქვენგან გამოგზავნილი სტატია, შესახებ უფ. კალანდარიშვილის კრიტიკის, ვერ დაიბეჭდება ჩვენს გაზეთში. აი, ამის მიზეზები: 1) ჟურნალისტიკის წესი ითხოვს, რომ ერთსა და იმავე ორგანში (გაზეთში ან ჟურნალში) არ დაიბეჭდოს რომელიმე სტატია და იმისი კრიტიკაც, თუ კრიტიკა კერძო პიროვნებას არ შეეხება და თუ მეორე გაზეთი ან ჟურნალი არსებობს ამ ენაზედ; რადგან თქვენი პირველი სტატია „მნათობში" იყო დაბეჭდილი, ამ სტატიაზე კრიტიკის პასუხიც იქვე უნდა დაბეჭდოს. 2) ესეც რომ არ იყოს, მეორე მიზეზი არის, რომ თქვენი სტატია ერთობ დიდია და შეუცვლელად იმის დაბეჭდვა არ შეიძლება: გაზეთის სივრცე არ გვაძლევს დიდი სტატიის დაბეჭდვის ნებასა და შე... ცვლაზე კი თქვენ არა ხართ თანახმა.

„ამისგამო, თუ თქვენი ნებაც იქნება, სტატია „მნათობის" რედაქციაში გავგზავნით; იქ, გვგონია, დაბეჭდონ, რადგან პირველი სტატია ამ საგანზედ იქ იყო დაბეჭდილი, და ამას გარდა ჟურნალის სივრცე აძლევს „მნათობის" რედაქციას დაბეჭდვის ნებასა."

---

# განცხადება

კავკასიის მთიულების სამმა... თველო აცხადებს, რომ მომავალი თვი... და 8-ს ამ სამმართველოს სადგომში და... რინებენ ეგზამენს და ექიმები შეამოწმებ... იმ ყმაწვილებს, რომელნიც ჩარიცხუ... ნი არიან კანდიდატებათ და რომე... ნიც სახელმწიფო ხარჯით უნდა გაიგზა... ნონ წელს, სამხედრო გიმნაზიებში სწავ... მისაღებად.—

---

დოკტორი ზუბალოვი, რომ... მანც სიტყვიერად შარშან გამოუცხადა ვე... ხის პატრონებს **ყურძნის ნაცრის წამ... ხმარება**, ამითი აცხადებს, რომ მასგან ... **იძლება მიიღონ ესე წამალი** და მას... დარიგება მისი ხმარებისა, ვიდრე განძლ... დეს ნაცარი. ესე წამალი ემგზავსება წყ... და მსწრაფლ მოსწყვეტს ნაცარსა და მრთე... დაამწიფებს ყურძენსა; თითო დღიურ ვენ... ეკმარების ერთი თუნგი წამალი და ერ... დღის მუშაობა ორი კაცისა ანუ სოფლის დაკაცისა. გასაადვილებლად ამ წამლის ... ვისა ზუბალოვი ნიშნამს ფასსა თუ... ზედ ოცდაათ შაურსა, ესე იგი ... მედ ნაწილს რაც ღირს; ჰყურძელი უ... იყოს ვენახის პატრონისა როგორიც ეპ... ლებოდეს, თუ გინდ ტიკი.

დოქტორი ზაქარია ზუბალო...

ივნისის 17-სა 1870 წელსა.

თფილისი.

---

### ბიბლიოგრაფიული განცხადება.

ისყიდება თფილისში ენფიანჯიანცის ნის მაღაზიაში:

# საქართველოს ისტო... რია,

თეიმურაზ ბატონიშვილისა

დაბეჭდილი პეტერბურღს, 1848 წ. 18½ ... გახი, 8°.

ფასი ერთი მანეთი.